საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაშვილი ნანა ლუარსაბის ასული



ნ. იაშვილი

იაშვილი ნანა ლუარსაბის ასული (დ. 14. X. 1949, თბილისი), მევიოლინე. საქართვ. სახ. არტისტი (1988). მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. (პარიზი, 1967, I პრემია) და მონრეალის (1972) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. ლ. ს. იაშვილის - შვილი და მოწაფე.

1970 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (პროფ. ლ. კოგანის ხელმძღვანელობით, მასთანვე ასპირანტურა, 1975). 1983–89 მუშაობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში. 1990-იდან უცხოეთშია. 1992–99 ქ. ესენის (გერმანია) უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორი იყო. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას.

ი-ის შესრულება გამოირჩევა არტისტული ტემპერამენტით, ემოციურობით, პროფ. კულტურით, ვირტუოზული ტექ. ოსტატობით. მისი მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი შეიცავს კლასიკური სავიოლინო ნაწარმოებების უმთავრეს ნიმუშებს.

გ. ტორაძე